ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.02.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/14

შეკითხვა:

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე სავალდებულო წესით იცავს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირ „C”-ს , რომლის კანონიერი წარმომადგენელია დედა, რომელსაც მიაჩნია, რომ მის შვილ “C”-ს არ ჩაუდენია დანაშაული, თუმცა ის ამას ვერ დაადასტურებს, რადგან არ ყოფილა დანაშაულის ადგილზე. “C” ხშირად იცვლის პოზიციებს და ადვოკატთან ბოლო გასაუბრებაზე განაცხადა, რომ მას სურს დანაშაული აღიაროს, თუმცა ადვოკატს მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რაც „C”-ს დამნაშავეობას დაადასტურებდა, შესაბამისად, ადვოკატს სურს, რომ კლიენტის ინტერესების დაცვისას განაცხადოს, რომ მის კლიენტს დანაშაული არ ჩაუდენია. ამ შემთხვევაში, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე ნორმას?

ანალიზი:

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი სავალდებულო წესით იცავს იმ პირის ინტერესებს, რომელსაც ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არსებობს შეკითხვაში აღნიშნულ ადვოკატსა და კანონიერი წარმომადგენელს შორის. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და მისი ინტერესების შესაბამისად ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.

დასკვნა:

ადვოკატი, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ინტერესებს სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, უნდა იმოქმედოს მისი კანონიერი წარმომადგენლის მითითებებით, რაც არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.